საკასაციო საჩივარი
ადმინისტრაციულ საქმეზე

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

კასატორი: *შენიშვნა-1*

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა	204952676	ქ. თბილისი, 0179, ზ. ფალიაშვილის ქ. №39ბ, მე-4 სართული
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3*	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

კასატორის წარმომადგენელი: *შენიშვნა-4*

1. ნინო გუჯარაიძე 2. ირმა მახათაძე	1. 01015010047 2. 18001007618	1. ქ. თბილისი, 0179, ზ. ფალიაშვილის ქ. №39ბ. მე-4 სართული; 2. ქ. თბილისი, კოსტავას ქ.№76ა, ბინა 6
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

		599 902 520 599 717 407		ngujaraidze@greenalt.org irma_maxatadze@yahoo.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარე: *შენიშვნა-5*

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია 2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური		1. ქ. თბილისი, ჟ.შარტავას ქ.№7 2. ქ. თბილისი, ჟ.შარტავას ქ.№7
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

გასაჩივრებული გადაწყვეტილება

შენიშვნა-9

სასამართლოს დასახელება:	თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
მომხსენებელი მოსამართლე:	მ. ლომიძე
საქმის ნომერი:	3ბ/696-16
მიღების თარიღი:	28 მაისი, 2018 წ

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:	
სრულად	☒
ნაწილობრივ	☐
რომელ ნაწილში?	

შენიშვნა-10

საკასაციო მოთხოვნა (განაცხადი):

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას სარჩელი დაკმაყოფილდება სრულად.

შენიშვნა-11

კასაციის საფუძვლები (მიზეზები)

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-12

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:	
☐	საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
☐	გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
☒	გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
☒	გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
☐	გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
☐	საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება: სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას სააპელაციო საჩივრის მოტივების გათვალისწინებით არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეუმოწმებია. პალატამ არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტების თანახმად მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია

დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

შენიშვნა-13 *შენიშვნა-14*

საკასაციო საჩივარი დასაშვებია სსსკ-ის 34.3 მუხლის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე და ამავე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. კერძოდ:

სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის “ა”, ”ბ”, ”გ” და 394-ე მუხლის “ე” და “ე”

პრიმა ქვეპუნქტების მოთხოვნები. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას . . . ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასამართლომ არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტი და მისი წარმომადგენელი საქმის განხილვისას მიუთითებდნენ იმ ფაქტობრივი გარემოებების და შესაბამისი მტკიცებულებების შესახებ, რომლებიც უცილობლად განაპირობდნენ სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას. იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სრულიად დაუსაბუთებელია მიგვაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ უხეშად დაარღვია ზემოაღნიშნული საერთაშორისო აქტის მითითებული ნორმის მოთხოვნები.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს კონსტიტუციის 37.5 მუხლი, რომელიც ყველასათვის განსაზღვრავს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებას და იმავდროულად ყველას ავალდებულებს გაუფრთხილდნენ ბუნებრივ და კულტურულ გარემოს, რაც ნიშნავს ადმინისტრაციული ორგანოს პოზიტიურ ვალდებულებას თავისი საქმიანობა გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების გამორიცხვის ან მისი მინიმუმამდე დაყვანის მიზნით განახორციელოს და ამისათვის შექმნას სათანადო სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები. საქმეზე არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება და არც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არ შეიცავს არანაირ დასაბუთებას საქართველოს კონსტიტუციის დასახელებული ნორმით ადმინისტრაციული ორგანოსათვის დადგენილი ვალდებულების შესრულების შესახებ. მიუხედავად, ამისა პალატამ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონიერად მიიჩნია.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - სსსკ-ის 377.1 მუხლი, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო

საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. განსახილველ შემთხვევაში პალატამ სრულად დააკმაყოფილა შპს "ტიფლის კოსტავას" და შპს"გრაალის" სააპელაციო საჩივარი, თუმცა საქმეზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარში აპელანტების მიერ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მონიშნულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ორი აბსოლუტური საფუძველი, რაც შეეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობების შესახებ აპელანტების მოსაზრებებს სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილი არ არის. ასეთ პირობებში, გაუგებარია როგორ "მოახერხა" პალატამ და იმსჯელა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების შესახებ, მით უფრო გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობების შესახებ და დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი(იხ. შპს"ტიფლის კოსტავას და შპს"გრაალის" სააპელაციო საჩივარი).

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, 105-ე მუხლის მეორე ნაწილი, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, მითითებული საპროცესო დარღვევების გამო ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენების შედეგად საქმეზე გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება. სასამართლომ არ შეამოწმა და არ შეაფასა სარჩელში, საპაექრო სიტყვაში, სააპელაციო საჩივარში, ახსნა-განმარტებებში წარმოდგენილი საფუძვლიანი პრეტენზიები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, შესაბამისად გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება გაუქმებას.
სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - სასკ-ის მე-17 მუხლი, რომლის თანახმად მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამასთან, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი და სზაკ-ის 53.1 მუხლი, რომლის თანახმად წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას.
დასახელებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სწორედ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო არის ვალდებული დაამტკიცოს, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და მისი გამოცემით არ დარღვეულა მოსარჩელის კანონიერი უფლებები და ინტერესები, რაც ნიშნავს და გულისხმობს იმას, რომ კანონის ეს მოთხოვნა ათავისუფლებს მოსარჩელეს მტკიცების ტვირთისაგან, რომ სადავო აქტი ითვლება არამართლზომიერად, ვიდრე მისი გამომცემი არ დაამტკიცებს მის მართლზომიერებას. განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არ შეიცავს არანაირ დასაბუთებას, საქმეზე არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება და ვერც მოპასუხეებმა დაადასტურეს საქმის განხილვისას სასამართლოში, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია იმ დროისათვის მოქმედი ქალაქ საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული "ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები"-ს მოთხოვნების დაცვით, ამასთან დასაბუთებული არ არის დედაქალაქის ქალაქთმშენებლობით და არქიტექტურული, ქალაქის

განვითარებასთან დაკავშირებული რა განსაკუთრებული მიზეზები იყო სახეზე, რამაც განაპირობა არსებული ტერიტორიის განაშენიანებისათვის დადგენილი კოეფიციენტის გაზრდა და მისი განსაზღვრა 0.5-ით, არ არის დასაბუთებული განსაკუთრებული მიზეზის არსებობის შემთხვევაშიც კოეფიციენტების გადამეტება წონასწორდებოდა ან/და კომპენსირდებოდა თუ არა გარკვეული ზომებით, რომელთა გატარებაც უზრუნველყოფდა გარემოზე არახელსაყრელი ზემოქმედების თავიდან აცილებას, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის მე-4 ნაწილი და 96.1 მუხლი და დასახელებული ნორმების შინაარსის საწინააღმდეგოდ დაასკვნა, რომ აპელანტებს შპს"ტიფლის კოსტავას" და შპს"გრაალს" კანონიერი ნდობა ჰქონდათ სადავო აქტების მიმართ, რაც დასტურდება საქმის მასალებით და მხარეთა ახსნა-განმარტებით, რომ ამ აქტების საფუძველზე მათ წამოიწყეს გარკვეული პირველი ეტაპის მოსამზადებელი სამუშაოები და მათი ბათილად ცნობის შემთხვევაში შესაძლოა მიადგეთ დიდი მატერიალური ზიანი. ამიტომ გასაჩივრებული აქტები უკანონობის შემთხვევაშიც არ უნდა იყოს ბათილად ცნობილი.

აღმჭურველი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლების დაცვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს კანონიერი ნდობა; ხოლო აღმჭურველი აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველია მმართველობის კანონიერება, მმართველობის კანონიერების პრინციპი მოითხოვს კანონიერების აღდგენის მიზნით უკანონო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას. კანონიერი ნდობის დაცვა არ ხდება, უკეთუ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, რაც განსახილველ შემთხვევაში ცალსახადაა დადასტურებული.

იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელი დასკვნის გაკეთება, რომელსაც ადგილი ჰქონდა განსახილველ შემთხვევაში და რომელიც საპროცესო ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევებით მიკერძოებულად და არასწორად იქნა შეფასებული პალატის მიერ(იხ. პრეტენზიები ფაქტობრივ გარემოებებზე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საკასაციო საჩივარში ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზიების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე საქმე განიხილა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რის გამოც გამოტანილია არასწორი, უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გაუქმდეს.

პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-15 შენიშვნა-16

1. პრეტენზია

გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.17 პუნქტით პალატამ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით (კონკრეტული მტკიცებულებები მითითებული არ არის) უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო საპროექტო ობიექტი არის მაღალი კლასის სასტუმრო, რომლის შემდგომი ექსპლოატაცია და ფუნქციონირება თავისთავად გულისხმობს, რომ მიწის ნაკვეთის დარჩენილი, გაუნაშენიანებელი ნაწილი კეთილმოეწყობა, მათ შორის დაირგვება მწვანე ნარგავები და მიმზიდველი იქნება დამსვენებლებისათვის, რომ მაღალი კლასის სასტუმროს მშენებლობა და მისი შემდგომი ფუნქციონირება ხელს შეუწყობს შემდგომში ტურიზმისა და ქალაქის ეკონომიკური პოტენციალის გაუმჯობესებას, რაც არასწორია და არ გამომდინარეობს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან. აქედან გამომდინარე, პალატამ დაასკვნა, რომ ქ.თბილისის მერს შეეძლო ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს დასკვნის საფუძველზე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოეცა შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზონალური შეთანხმების თაობაზე, რომლის მიხედვით კოეფიციენტი გაიზარდა 0.2-დან 0.5-მდე.

დასაბუთება:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.17 მუხლით პალატამ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით (კონკრეტული მტკიცებულებების მითითების გარეშე) უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო საპროექტო ობიექტი არის მაღალი კლასის სასტუმრო, რომლის შემდგომი ექსპლოატაცია და ფუნქციონირება თავისთავად გულისხმობს, რომ მიწის ნაკვეთის დარჩენილი, გაუნაშენიანებელი ნაწილი კეთილმოეწყობა, მათ შორის დაირგვება მწვანე ნარგავები და მიმზიდველი იქნება დამსვენებლებისათვის, რომ მაღალი კლასის სასტუმროს მშენებლობა და მისი შემდგომი ფუნქციონირება ხელს შეუწყობს შემდგომში ტურიზმისა და ქალაქის ეკონომიკური პოტენციალის გაუმჯობესებას, რაც არასწორია და არ გამომდინარეობს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან. აქედან გამომდინარე, პალატამ დაასკვნა, რომ ქ.თბილისის მერს შეეძლო ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს დასკვნის საფუძველზე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოეცა შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზონალური შეთანხმების თაობაზე, რომლის მიხედვით მოხდა კოეფიციენტის გაზრდა ნაცვლად 0.2-სა 0.5-ით. იმ პირობებში, როდესაც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ქ.თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის #1592 განკარგულება გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, რომელიც საერთოდ არ შეიცავს არანაირ დასაბუთებას ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გადამეტების შესახებ ქალაქ საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული "ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები"-ს 24-ე მუხლით განსაზღვრული პირობების დაცვის შესახებ, პალატის ყოველგვარი მცდელობა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარტლებრივი აქტების კანონიერების შესახებ არასწორია, საფუძველს მოკლებული და არ უნდა იქნეს გაზიარებული. ასევე, გაუგებარია, საქმეზე წარმოდგენილი რომელი დოკუმენტით დაადგინა პალატამ, რომ სადავო საპროექტო ობიექტი არის "მაღალი" კლასის სასტუმრო და რომ მაღალი კლასის სასტუმროს მშენებლობით და მისი შემდგომი ფუნქციონირებით შემდგომში ტურიზმისა და ქალაქის ეკონომიკური პოტენციალის გაუმჯობესების ხელშეწყობა (არც აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულებაა წარმოდგენილი საქმეზე) რა კავშირშია

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებასთან, რომელიც გამოცემულია ჯერ კიდევ 2013 წლის ივლისში და რომლის კანონიერებაც მოსარჩელის მიერ სადავოდ არის გამხდარი სადავო აქტების დროს მოქმედი "ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონისა და სზაკ-ის შესაბამისი ნორმების საფუძველზე.

2. პრეტენზია

გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.21 პუნქტით პალატამ არასწორად დაასკვნა, რომ გასაჩივრებული აქტებით არანაირი პირდაპირი და უშუალო ზიანი არ ადგებათ არც მოსარჩელეებს და არც საზოგადოებრივ ინტერესებს და რომ აპელანტებს შპს"ტიფლის კოსტავას" და შპს"გრაალს" კანონიერი ნდობა ჰქონდათ სადავო აქტების მიმართ, რაც დასტურდება საქმის მასალებით (გაუგებარია რომელი მასალებით) და მხარეთა ახსნა-განმარტებით, რომ მათ ამ აქტების საფუძველზე წამოიწყეს გარკვეული პირველი ეტაპის მოსამზადებელი სამუშაოები (საქმეზე არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება კონკრეტულად რა სამუშაოები განახორციელეს აპელანტებმა, თუნდაც პირველ ეტაპზე და რას შეადგენდა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება) და მათი ბათილად ცნობის შემთხვევაში შესაძლოა მიადგეთ დიდი მატერიალური ზიანი(ასეთ პირობებში, გაუგებარია, როგორ გამოიცნო პალატამ, რომ სადავო აქტების ბათილად ცნობისას აპელანტებს მიადგებოდათ დიდი მატერიალური ზიანი). ასევე არასწორია და არ უნდა იქნეს გაზიარებული პალატის დასკვნა მასზედ, რომ სადავო სამშენებლო მიწის ნაკვეთს გააჩნია დამოუკიდებელი საავტომობილო მისასვლელი, საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომლითაც ზემოაღნიშნული გარემოებაა დადასტურებული, ყოველგვარ სამართლებრივ აზროვნებასაა აცდენილი პალატის მიერ შემაჯამებელი დასკვნის წინ გაკეთებული დასკვნა (იხ.31 გვ), რომლის თანახმადაც იმ მიწის ნაკვეთზე, სადაც დაგეგმილია სადავო სასტუმროს მშენებლობა, მრავალი წლის განმავლობაში განთავსებული იყო საზოგადოებრივი კვების ობიექტი - რესტორანი, რომლის დემონტაჟის შემდგომ დაიგეგმა სასტუმროს მშენებლობა, შესაბამისად, თუ მანამდე საზოგადოებრივი კვების ობიექტის არსებობა ზიანს არ აყენებდა ვაკის პარკის თუ გარემოს ინტერესებს, მაშინ იმავე ტერიტორიაზე ახალი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სასტუმროს მშენებლობაც ვერ იქნება ზიანის წარმოშობის საფუძველი.

დასაბუთება:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.21 პუნქტით პალატამ არასწორად დაასკვნა, რომ გასაჩივრებული აქტებით არანაირაირი პირდაპირი და უშუალო ზიანი არ ადგებათ არც მოსარჩელეებს და არც საზოგადოებრივ ინტერესებს და რომ აპელანტებს შპს"ტიფლის კოსტავას" და შპს"გრაალს" კანონიერი ნდობა ჰქონდათ სადავო აქტების მიმართ, რაც დასტურდება საქმის მასალებით (გაუგებარია რომელი მასალებით დაასკვნა პალატამ აღნიშნული) და მხარეთა ახსნა-განმარტებით, რომ ამ აქტების საფუძველზე წამოიწყეს გარკვეული პირველი ეტაპის მოსამზადებელი სამუშაოები (საქმეზე არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება კონკრეტულად რა სამუშაოები განახორციელეს აპელანტებმა, თუნდაც პირველ ეტაპზე და რას შეადგენდა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება) და მათი ბათილად ცნობის შემთხვევაში შესაძლოა მიადგეთ დიდი მატერიალური ზიანი(ასეთ პირობებში, გაუგებარია, როგორ გამოიცნო პალატამ, რომ სადავო აქტების ბათილად ცნობისას აპელანტებს მიადგებოდათ დიდი მატერიალური ზიანი). ასევე არასწორია და არ უნდა იქნეს გაზიარებული პალატის დასკვნა მასზედ, რომ სადავო სამშენებლო მიწის ნაკვეთს გააჩნია დამოუკიდებელი საავტომობილო მისასვლელი, საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომლითაც ზემოაღნიშნული გარემოებაა დადასტურეებული, ყოველგვარ სამართლებრივ აზროვნებასაა აცდენილი პალატის მიერ შემაჯამებელი დასკვნის წინ გაკეთებული დასკვნა (იხ.31 გვ), რომლის თანახმადაც იმ მიწის ნაკვეთზე, სადაც დაგეგმილია

სადავო სასტუმროს მშენებლობა, მრავალი წლის განმავლობაში განთავსებული იყო საზოგადოებრივი კვების ობიექტი - რესტორანი, რომლის დემონტაჟის შემდგომ დაიგეგმა სასტუმროს მშენებლობა, შესაბამისად, თუ მანამდე საზოგადოებრივი კვების ობიექტის არსებობა ზიანს არ აყენებდა ვაკის პარკის თუ გარემოს ინტერესებს, მაშინ იმავე ტერიტორიაზე ახალი თანამედროვე სტანდარტებით(პალატამ ისიც გამოიცნო, რომ სასტუმრო თანამედროვე სტანდარტებით აღიჭურვება) აღჭურვილი სასტუმროს მშენებლობაც ვერ იქნება ზიანის წარმოშობის საფუძველი. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მსგავსი "ორიგინალური" დასკვნები, რომელიც არ გამომდინარეობს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან არაერთია, მთელი გადაწყვეტილების დასაბუთება მიმართულია მხოლოდ აპელანტების შპს"გრაალის" და შპს"ტიფლის კოსტავას" ბიზნეს ინტერესების დაცვისაკენ. პალატამ საერთოდ არ იმსჯელა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები რატომ არ შეიცავდა დასაბუთებას კერძო და საჯარო ინტერესების ბალანსის დაცვის თვალსაზრისით, გაუგებარია, რატომ მიენიჭა აპელანტების კერძო ინტერესებს უპირატესობა საჯარო ინტერესებთან მიმართებაში, თუმცა ამ და სხვა დარღვევებმა, რასაც ცალსახად ჰქონდა ადგილი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარტლებრივი აქტების გამოცემისას ხელი არ შეუშალა პალატას მიეღო მიკერძოებული, არასწორი და სრულიად უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გაუქმდეს.

3. პრეტენზია

დასაბუთება:

შუამდგომლობები

შენიშვნა-17 *შენიშვნა-18*

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

საჩივრის ფასი *შენიშვნა-19*	—	არაქონებრივი ლარი
სახელმწიფო ბაჟი *შენიშვნა-20*	—	300 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ ☐	არა ☒
რომელი ნორმა?		
მტკიცებულება:		
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ ☐	არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ ☐	არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ ☐	არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე (მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე და 54-ე მუხლების თანახმად, როგორ უნდა განაწილდეს სასამართლო ხარჯები. თქვენი გაანგარიშება სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ).
5.

შენიშვნა-21

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☒	რადგან დავის საგნიდან გამომდიარე შეუძლებელია.

შენიშვნა-22

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-23

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	14:00 - 18:00

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-24 *შენიშვნა-25*

დანართი 1: სახელმწიფო ბაჟის (300 ლარი) გადახდის ქვითარი- 2 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 15 ფურცელი

საკასაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ საკასაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მისი მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	**არა**
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ საკასაციო საჩივარი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	☒	☐
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილება რა ნაწილშია გასაჩივრებული.	☒	☐
7.	მითითებულია საკასაციო მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია საკასაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	საკასაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი.	☒	☐
10.	საკასაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	საკასაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
12.	საკასაციო საჩივარი ხელმოწერილია.	☒	☐
13.	საკასაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

საკასაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	საკასაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელი დირექტორი: ნინო გუჯარაიძე	24/07/2018წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნეს შევსებული ფორმის ელექტრონული ვერსიაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკასაციო საჩივარი არ არის წარმოდგენილი ნაბეჭდი ფორმით). სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.